პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
ოთხშაბათი
28 იანვარი
№ 23 (17965)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ჩვენი გეგმის საიმედო შუქნიშანი

ერთერთმეტე ხუთწლედის გარიჟრაჟზე, იანვრის ამ უჩვეულოდ მზიან და თბილ დღეებში, ახალი, განსაკუთრებული ძალით ვლინდება ჩვენი პარტიისა და ხალხის მიზნების, მათი საფიქრალ-საზრუნავის ერთიანობა. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა, რომელმაც მხოლოდ სამი დღეა მუშაობა დაამთავრა, ამის საუკეთესო დასტურია. ყრილობისათვის გაწლილი მთელი მჩქეფარე და აქტიური მოსამზადებელი მუშაობა, ყრილობის მთელი მსვლელობა, და ბოლოს, მისი გადაწყვეტილებების ერთსულოვანი მოწონება, საქართველოს კომპარტიის, რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების მეტად საინტერესო ფურცელია. სწორედ ამ დღეებში, როგორც ერთ დიდ ფოკუსში, ნათდა და ყველასათვის საჩინოდ გამოიკვეთა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისა და ხალხის ერთიანობა, მათი ერთობლივი მუშაობა იმისათვის, რომ დიდი დაფიქრებითა და რუდუნებით, კოლექტიური სიბრძნით შეემუშავებინათ წინსვლის სამოქმედო პროგრამა. მართალია, 1400-ზე მეტი დელეგატი თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში სამი დღის განმავლობაში ბჭობდა და გულდასმით განიხილავდა საანგარიშო პერიოდში გაწეულ საქმიანობას, მსჯელობდა მომავლის საბრძოლო ამოცანებზე, მაგრამ აუდიტორია გაცილებით დიდი და ფართო იყო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს, რომლითაც მან ყრილობის წინ რესპუბლიკის ყველა კომუნისტსა და მშრომელს მიმართა, ათიათასობით გამოხმაურება მოჰყვა. ფართო მასების აზრით, შენიშვნებით, წინადადებებითა და რეკომენდაციებით გამდიდრდა რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმის ყველა დოკუმენტი.

ყრილობამ განხილული საკითხების გამო მიიღო დადგენილებები, ერთსულოვნად აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის დელეგატები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გააკეთა, აგრეთვე საბოლოო სიტყვაში ღრმად და ყოვლისმომცველად არის გაანალიზებული რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის დაუღალავი შემოქმედებითი საქმიანობა მთელ საანგარიშო პერიოდში, ამომწურავად სრულად არის ნაჩვენები საქართველოს სიახლსავსე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრება, განსაზღვრულია მომავლის ორიენტირები, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონკრეტული ამოცანები.

ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის გამო „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი". ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ზ. ა. პატარიძემ. დელეგატებმა მოისმინეს და დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში, სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელშიც საინტერესოდ და ცოცხლად წარმოჩნდა ყრილობის დელეგატის განზოგადებული სოციალური პორტრეტი. ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, აგრეთვე როგორც პლენარულ სხდომებზე, ისე სამუშაო ჯგუფებში დელეგატთა გამოსვლები ერთიანი, დიდი შთაბეჭდავი მოთხრობაა მეათე ხუთწლედში მთელ ჩვენს ნაღვაწ-ნაშენზე და მეთერთმეტე ხუთწლედის საზრუნავ-გასაკეთებელზე.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ საქართველოს კომპარტია თავის XXVI ყრილობაზე წარსდგა განსაკუთრებით მონოლითური, იმ მთავარი პატაკით, რომ მთლიანად და წარმატებით შეასრულა ამოცანა, რომელიც წინა, ოცდამეხუთე ყრილობამ დაუსახა.

გასული საანგარიშო პერიოდი — მთელი მეათე ხუთწლედი, უეჭველია, განსაკუთრებულ და საპატიო ადგილს დაიკავებს ჩვენი რესპუბლიკისა და მისი კომპარტიის სახელოვან სამოცწლიან ისტორიაში, რადგან უდიდესია სწორედ ამ წლებში ჩვენი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მასშტაბები, რადგან სწორედ ამ წლებში მივიღწიეთ მშრომელთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის მწვერვალებს.

თვით ყრილობის სულისკვეთებაა, რომ არ გვჭირდება მიღწეულით თავმოწონება და წიდმეტი ტაში. მაგრამ იმ მთავარ შექმნილსა და მოპოვებულზე მაინც უნდა ითქვას, რაც ყველას სასწაულად მიაჩნია, რამაც გულის დასაბშვიდებელი სამოსელში კი არ გაგვხვია, არამედ რწმენა შეგვმატა, ხალისი გაგვიორკეცა. ეს საბჭოთა საქართველოს ალმასვლაა ყველა დარგში და ყველა უბანზე, წინსვლაა კომპლექსურად, გასვლაა ქვეყნის მოწონავე პოზიციებზე.

ეს ჩვენი მრეწველების მუშაკების, მშენებლების, ტრანსპორტელების, ჩვენი მეჩაიეებისა და მევენახეების, ჩვენი მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა, ბევრი სხვა მშრომელის გარჯის მადლია.

შვიდჯერ ზედიზედ საკავშირო დროშის მიღება, მეათე ხუთწლედი ვადამდე — 20 თებერვლისათვის. ხოლო ყველაფრის გვერგვინი — ამხანაგ ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის ამაღელვებელი და გულთბილი მისალმება — ჩვენი მშრომელების ამ გარჯისა და უნარის, საქართველოს კომპარტიის მჩქეფარე და დაუღალავი მოღვაწეობის დაფასებაა.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ წარმატებათა სათავეა ის მართალი და გაბედული კურსი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი 1972 წლის შემოდგომიდან დაადგა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების მომარჯვებით.

და თუ წარმატებები ყოველწლიურად ესოდენ გვიმავლდება, კიდევ და კიდევ იმიტომ, რომ დაუშრეტელია წყარო მუდმივი ზრუნვისა და დახმარებისა, რომელსაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი უწევენ საქართველოს, მის კომპარტიას. ამის დადასტურებაა ის გამამხნევებელი წერილები, რომლებიც რესპუბლიკის ცალკეულმა შრომითმა კოლექტივებმა, რიგითმა მშრომელებმა მიიღეს, ის ისტორიული, საეტაპო დადგენილებები, რომლებიც მიმართულია საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისაკენ.

დელეგატებმა დიდი მოწონებით აღიქვეს უაღრესად საქმიანი, კრიტიკული და თვითკრიტიკული, მეცნიერული რეკომენდაციებით აღსავსე საანგარიშო მოხსენება, და მათი კოლექტიური ნება იმით გამოიხატა, რომ ყრილობის დადგენილებაში ჩაწერეს: აღნიშნავს რა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე დადებითს პროცესებს, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა მთლიანად იწონებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას, რომელიც მან პარტიის პოლიტიკური ხაზის განხორციელებისათვის საანგარიშო პერიოდში გასწია. სწორედ ამ კოლექტიური ნების უჩვეულო გამოხატულება იყო ის მოვლენა, რომ, სანამ კენჭს უყრიდნენ, ცენტრალური კომიტეტის მუშაობის მოწონების ნიშნად ტაშმა იქუხა და მთელი დარბაზი ფეხზე ადგა.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო, ინიციატივა და აქტიურობა, მაღალი ორგანიზებულობა. მას, როგორც ამ ნიშნით, ისე, საერთოდ, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების მხრივ, ჯერ ბადალი არ მქონია. ახე ამბობენ ის დელეგატებიც, რომლებიც მანამდე „თითქმის ყველა ყრილობას დასწრებიან. თუ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ყურადღების ცენტრში იყო ადამიანი, კომუნისტი, ახლანდელმა XXVI ყრილობამ მთლიანად დემოკრატიის შემდგომი განვითარების, დისციპლინის განმტკიცებისა და ამ საფუძველზე მასების აღმშენებლობითი აქტიურობის გაძლიერების დევიზით ჩაიარა.

ეს ორი დევიზი ჩვენი ორივე ყრილობისა ერთად ჩაწნულ-ჩაგვირისტებულია, ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია, რადგან, როგორც ყრილობის ტრიბუნიდან ითქვა, დემოკრატია, დისციპლინა და აქტიურობა თვითმიზანი კი არ არის, არამედ ისევ ადამიანს, მთელ ჩვენს საზოგადოებას სჭირდება და ემსახურება.

ამის საუკეთესო და ნათელი მაგალითია სწორედ ის შედეგები, რომლებიც განვლილმა საანგარიშო პერიოდმა მოგვიტანა და ის უდიდესი დაინტერესება და პასუხისმგებლობა, რომელსაც საქართველოს მშრომელები ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უახლოესი წლების ძირითად მიმართულებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხილვისას იჩენენ.

სხვა ბევრ საახლესთან ერთად, რომლებიც ბოლო წლებში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ შეიძინა, ყრილობის გადაწყვეტილებით პირველად იქნა გამოყენებული დელეგატთა სამუშაო ჯგუფების პრაქტიკა. სულ 15 ასეთ ჯგუფში დელეგატებმა კომპეტენტურად და საფუძვლიანად განიხილეს საკითხების ფართო წრე. (სამუშაო ჯგუფების სხდომების ანგარიში ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერშია გამოქვეყნებული).

დელეგატთა ჯგუფების მუშაობამ ყველგან გულახდილობის, პრინციპული, მაგრამ კეთილმოსურნე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა. ზოგან მეტად ცხარე დისკუსიებიც იყო. ყველა ამ სხდომას კი ჰქონდა თავისი დევიზი — მოთხოვნა, რომ ყველგან და ყველა უბანზე მუყაითად ვამკვიდრებდეთ მუშობის ლენინურ სტილს, სრულყოფდეთ, დღენიადაგ ვაუმჯობესებდეთ როგორც ეკონომიკისადმი, ისე მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს.

ძნელია, თითქმის შეუძლებელია იმ საყურადღებო და საინტერესო შენიშვნების, წინადადებების ჩამოთვლა, რომლებიც როგორც ყრილობის პლენარულ, ისე დელეგატთა სამუშაო ჯგუფების სხდომებზე გამოითქვა. მაგრამ განა მარტო სხდომებზე? მიუხედავად ამისა, რომ ორივეგან კამაში 850 კომუნისტი გამოვიდა, სიტყვის წარმოთქმის მსურველი მეტი იყო. ამას ადასტურებს ტრიბუნასთან მიუხვლელად, ადგილებიდან აზრის გამოთქმაც, ცხარე კამათი და პაექრობა შესვენებისას, თავიანთი გულისნადების წერილობით გადაცემა... ყველაფრიდან ჩანდა დელეგატთა დიდი დაინტერესება, ინიციატივა და არნახული აქტიურობა, რაც, ხაზგასმით უნდა ითქვას, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების ჭეშმარიტი მადლი და ნაყოფია. ერთი სიტყვით, ყრილობა სულ დაძაბული იყო, სულ საქმიანობდა, ღელავდა, მთელი სამი დღე მეტად შინაარსიანი, საინტერესო, მჩქეფარე და ხალისიანი ცხოვრებით ცხოვრობდა.

დელეგატთა საერთო აზრით, სამუშაო ჯგუფების ნაყოფიერი და ეფექტიანი საქმიანობა მოწმობს, რომ დაიბადა და ღონივრად იდგამს ფეხს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კიდევ ერთი, უკვე პრაქტიკულად შემოწმებული ფორმა, რომელიც ყრილობის შემდეგაც უნდა იცოცხლოს, დავაკაცდეს, უფრო აქტიურად შეუწყოს ხელი ცხოვრების მომწიფებული პრობლემების ხაზრიანად და კომპეტენტურად გადაწყვეტას.

ამასთან დაკავშირებით სათქმელი და ხაზგასახმელი კიდევ ის არის, რომ ეს შესაანიშნავი სიახლე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის იმ შემოქმედებითი ძიების, წვნისა და რუდუნების პირმშოა, რომლებიც მუდმივად ჩანს ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და აქტივის კრებების მომზადება-ჩატარების პრაქტიკაში, საერთოდ, უკანასკნელი წლების მთელ შინაპარტიულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დემოკრატიზმი და აქტიურობა, როგორც ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ყრილობაზე თქვა, ის ორი ფაქტორია, რომლებსაც მივყავართ და უსათუოდ მიგვიყვანენ მესამე ფაქტორთან — თითოეულის პასუხისმგებლობის ამაღლებასთან, პასუხისმგებლობისა არა მარტო პირადი მოვალეობის შესრულებისათვის, არამედ აგრეთვე საერთო საქმისათვის, მთელი კოლექტივის მუშაობისათვის, ამხანაგების, კოლეგების მუშაობისათვის.

თითოეული კომუნისტის, თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, ურთიერთმომთხოვნელობისა და პარტიული მომკითხველობისათვის ზრუნვით, ობიექტური, პრინციპული, გაბედული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა მთელმა ყრილობამ, მისმა ყოველმა სამუშაო ხხდომამ.

ყველაზე ნიშანდობლივი ის არის, რომ ამ მხრივ არავის, არც ერთი რანგისა და თანამდებობის მუშაკს შეღავათი არ მისცემია, მათ მიერ დაშვებულ ნაკლოვანებებს კრიტიკის ცეცხლი არ ასცდენია.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა, პირველივნელად გააკრიტიკეს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილებების, თვით ცენტრალური კომიტეტის მდივნების, ბიუროს წევრების მუშობის ზოგიერთი მხარე. ასეთ განწყობილებას კარგი ტონი მისცა საანგარიშო მოხსენებამ, რომელშიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ნაკლიც იყო აღნიშნული.

სწორედ ასეთი სულისკვეთება, საქმიანობის კრიტიკული და თვითკრიტიკული ანალიზი დღეს საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრების ნორმა გახდა. სწორედ ასეთი დამოკიდებულება უნდა დაგვეხმაროს იმ დიდი, უფრო მასშტაბური, უფრო პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლის გზაზე, რომელიც ახლმა ხუთწლედმა დაგვიყენა.

ყრილობის ერთ-ერთი მთავარი მითითება ის არის, რომ როგორც მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ისე ჩვენი ეკონომიკის ყველა დარგში უკეთ, ეფექტიანად გამოვიყენოთ რეზერვები და შესაძლებლობანი, მთლიანად გამოვავლინოთ საზოგადოებრივი დოვლათის მიღების ყველა წყარო. ეს კი ბევრს ავალებს თითოეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციას, ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტს. ისინი მოწოდებული არიან დარაზმონ შრომითი კოლექტივები სულ ახლახან დაწყებული მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა უთუო შესრულებისათვის, ისელმძღვანელონ იმით, რომ გეგმა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია.

და მაინც, მთელი ჩვენი ჩანაფიქრი და დასახული, მთელი ჩვენი გეგმები ჰაერში გამოკიდებული დარჩება, თუ უფრო გონივრულად არ გამოვიყენეთ ყველაზე მთავარი რეზერვი — ადამიანთა ინიციატივა, მათი პასუხისმგებლობა, მტკიცე, შეგნებული დისციპლინა.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა შესრულების შემოწმებისა და კონტროლის დიდი მნიშვნელობა. დღეს, როცა პრაქტიკულად უნდა განვახორციელოთ ახლახან დამთავრებული ყრილობის შესანიშნავი გადაწყვეტილებანი, ის დიდი პროგრამა, რომელსაც სულ მალე სკკპ XXVI ყრილობა დასახავს, განსაკუთრებით იზრდება შესრულების შემოწმების — პარტიის ამ ნაცადი მეთოდის როლი.

ამბობენ, კარგ საძირკველზე კარგი კედელი აშენდებაო. და თუ ჩვენ მართლაც ყრილობის მითითების მიხედვით ამოავითვე, წლის პირველი თვიდანვე, შეგნებულად, თავდაუზოგავად გავირჯებით, თუ მთელ რესურსებს, მთელ ჩვენს საშუალებებს გონივრულად გამოვიყენებთ, მაშინ მეთერთმეტე ხუთწლედს მართლაც კარგი საფუძველი ექნება.

დიდია ხალხის ინიციატივის ძალა. იგი წყალუხვ მდინარესავით არის. ჯერ კიდევ ყრილობის მუშაობის დღეებში საქმიანმა პრეზიდიუმმა იანვრის გეგმის ვადამდე შესრულების თაობაზე ასობით შრომითი პატაკი მიიღო. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალებს რომ ეცნობიან, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების, მომსახურების სფეროს კოლექტივები ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს ადგენენ, აძლიერებენ მუშაობის ტემპს.

ახლა თავადი და მეგალე საუბარია, რომ ყრილობის გადაწყვეტილებებს საფუძვლიანად გაეცნოს რესპუბლიკის თითოეული კომუნისტი, ყველა მშრომელი, ეს მათ დაეხმარება, რომ სწორად მონახონ თავიანთი ადგილი მისი განხორციელებისათვის ბრძოლის საერთო მწყობრში. ამ მხრივ, როგორც ყრილობაზე ითქვა, დიდია მშობლიურ კოლექტივში დაბრუნებული დელეგატის როლი. უწმინარესად ხომ მან უნდა მიიტანოს ადგილზე ყრილობის მთელი ხმაურიანი განწყობილება, აჩვენოს თანამოსაქმეებსა და ყველას დთქმულ-დასახულის ხორცშესხმის პირადი მაგალითი.

ამ დღეებში ბევრი დელეგატი უკვე შეხვდა მშობლიური კოლექტივების წევრებს, რომელთაც გაუზიარეს მართლაც დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი როგორც ყრილობის საქმიანი სხდომების, ისე საკონცერტო დარბაზის ვეხტბიოლში განლაგებული ლამაზად გაფორმებული სტენდების შესახებ, საბჭოთა საქართველოს და მისი რეგიონების წინსვლაზე რომ მეტყველებენ. შათ მოუთხრეს ყრილობისადმი ახალგაზრდობის წარმომადგენელთა დაუვიწყარ, დიდი შინაარსით აღსავსე მისალმებაზე, იმ გააზრებულ, შთამბეჭდავ კონცერტზე, შესანიშნავად რომ დაგვირგვინა ყრილობის მთელი სულისკვეთება.

დიახ, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ მუშობა დაამთავრა... დაიწყო რესპუბლიკის კომუნისტების, პარტიული ორგანიზაციების ახალი მჩქეფარე ცხოვრება, რომლის საიმედო მეგზურიც მთელი მომავალი ხუთი წლის მანძილზე XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები იქნება.

თბილისი. „ამეოლ-მაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო" რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი ფლაგმანია. აქ დამზადებულ შალის ქსოვილებზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილებაა. ამიტომ საჭირო შეიქნა საწარმოს რეკონსტრუქცია, რომლის სამუშაოებიც ახლახან დამთავრდა. ეს საშუალებას მისცემს კომბინატის კოლექტივს მნიშვნელოვნად გაზარდოს წარმოების მოცულობა, ამასთან მკვეთრად გააუმჯობესოს შალის ასორტიმენტი და ხარისხი. ამ დღეებში კომბინატელებს დიდი პატივი ხვდათ წილად. მათი ოთხი წარმომადგენელი, როგორც დელეგატი, მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მუშაობაში. აი ისინი: დირექტორი — თენგიზ ტიტონაშვილი, ქარგალი, სოციალისტური შრომის გმირი — ვერა ქემაშვილი, მჭყოველები დარეჯან კაპანაძე და მარიამ პალკანოვა.

ორი დღეა, რაც ისინი საწარმოში დაბრუნდნენ. მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყო კოლექტივმა. დელეგატებმა თავიანთი მდიდარი შთაბეჭდილებანი გაუზიარეს კოლეგებს, ამომწურავ პასუხს აძლევდნენ მათთვის საინტერესო კითხვებზე.

— **სამუშაო დროის ყოველი წუთის მაქსიმალური გამოყენებისა!** — ასეთი დევიზით გამოალაქა აქ სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ყრილობის დელეგატი, მრთველი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვერა ქემაშვილი. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ნოვატორი კომბინატში შრომობს, მაგრამ ეს შრომა უბრალო ვალის მოხდად არ გაუხდია. მუდამ მოწინავე პოზიციებზე დგას, ამიტომ არის, რომ მისი თანამოსაქმენი, ახალგაზრდა მუშები ერთთავად ცდილობენ მიბაძონ მას. ახლა ვერა ქემაშვილი მაუდის სართავი საამქროს ქარგალია. ამაყობს გმირი ქალი თავისი აღზრდილებით, რომლებთანაც დაკმაყოფილებულია ბრიგადა. მაგალითად, ნარგული ჩხაიძე დღეს შრომის წთელი დროშის ორდენის კავალერია, ხოლო ზოია ხინთიბიძე, ლეილა წიკლური და სხვები საუკეთესო მრთველები არიან.

— ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა საანგარიშო მოხსენებამ, — თქვა ვერა ქემაშვილმა, — ის პრინციპულობა და მოვლენათა კრიტიკული შეფასება, ამასთან რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარების მეცნიერული ანალიზი, რაც ამხ. ე. შევარდნაძის გამოსვლაში გამოიკვეთა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალ, მეთერთმეტე ხუთწლედში ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, ამიტომ არ შეიძლება შევურიგდეთ სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენს, სამუშაოსადმი გულგრილი დამოკიდებულებანი არც ერთ შემთხვევას, ასეთი ფაქტები კოლექტივის პრინციპული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. როცა იქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე ვესაუბრებოდი ჩემი ბრიგადის წევრებს, ჩვენ ერთსულოვნად გადავწყვიტეთ და ახალ სოციალისტურ ვალდებულებაში ჩავწერეთ: მიმდინარე წლის დავალებას ნოემბერში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავის დღისათვის შეასრულებთ.

ვერა ქემაშვილს წინ ახალი საპატიო მისია ელის — იგი სკკპ ყრილობის დელეგატად არის არჩეული.

... მარიამ პალკანოვას რომ შეეხვედით, ისაც იყო სამუშაოს ამთავრებდა. მაგრამ, როგორც მხრმრეველმა მითხრა, მას უკვე დღიური ნორმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეესრულებინა. არც კომბინატის პარტიულ კომიტეტში იყვნენ მის მიმართ სიტყვამცირენი: ჩვენი კოლექტივის სული და გული, ამიტომ წარგზავნილი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ეს ენერგიული ქალიო. ყრილობიდან დაბრუნებული მარიამი კმაყოფილებას ვერ მალავს. მან მონაწილეობა მიიღო ყრილობის დელეგატთა სექციურ მუშაობაში. იგი მსმენელთა წინაშე საინტერესო მოხსენებით წარდგა, სამუშაოზე დაბრუნებულმა კი **პირობა დადო პირველი კვარტალის გეგმა სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს.**

— საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმზე ჩვენი ცხოვრების გადაუდებელ, უაღრესად აქტიურ პრობლემებზე იყო საუბარი, —ამბობს დელეგატი, მოწინავე მუშა დარეჯან კაპანაძე.

ყრილობაზე შეჯამდა გასული ხუთწლედის შედეგები და გაწეული საქმიანობის გულმოდგინე ანალიზთან ერთად დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მეთერთმეტე ხუთწლედში წარმატებული სვლისა. საჭიროა ყრილობის მთელი საქმიანი და მებრძოლი განწყობილება გადავცეთ ჩვენ გვერდით მყოფ თანამოსაქმეებს. ჩვენი კომბინატის დელეგატებმა ერთხმად გავშალეთ სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. **პირადად ვიკისრე ვალდებულება წლიური გეგმა ნოემბერში შევასრულო და ათასობით მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი გამოვუშვა.**

საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატებს მტკიცედ უდგას მხარში კომბინატის მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომელიც თავის მხრივ ახალ, გაზრდილ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობს.

ლ. ქინქლაძე.

სურათებზე: ვ. ქემაშვილი თავის ბრიგადის წევრებთან ერთად; მ. პალკანოვა (შუაში) და დ. კაპანაძე სამუშაო დაზგებთან.

ჯ. ლომაძის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შემდეგ

ყრილობამ აღგვანთო, ყრილობამ მოგვიწოდა!

ახალი შრომითი მიღწევებით გასახელოთ სამშობლო! — ასეთია საქართველოს კომუნისტების, მთელი ხალხის გადაწყვეტილება

ყოველი წუთი — მაქსიმალურად!

ასე გადაწყვიტეს რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმის პასუხად

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა

დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპების სულისკვეთებით

ორგანიზაციულ-პარტიული, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, იდეოლოგიური მუშაობის, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე რეკომენდაციათა შესამუშავებლად საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე შეიქმნა დელეგატთა 15 საპრობლემო სამუშაო ჯგუფი.

მუშაობის ასეთმა ფორმამ შესაძლებელი გახადა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული კოლექტიური აზრი ყრილობის დელეგატებისა, რომლებიც რესპუბლიკის ყველა კომუნისტს წარმოადგენდნენ.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მუდმივად ეყრდნობა მასებს და ეთათბირება მათ, თანამიმდევრულად ახორციელებს კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპს, რომელიც მის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საუკეთესო გარანტია, ოპტიმალურ გადაწყვეტათა მიღების, ნაკლოვანებათა დროული გამოვლენისა და აღმოფხვრის საშუალებაა. რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი, მთელი სოციალური ცხოვრებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში დამკვიდრებულმა მუშობის კოლეგიურმა ფორმებმა და მეთოდებმა, კომუნისტთა, მშრომელთა აზრის მუდმივმა გათვალისწინებამ, მართვის პროცესებში მათმა აქტიურმა ჩაბმამ ხელი შეუწყო რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას და მოწონება პოვა ისეთ საერთო პარტიულ დოკუმენტში, როგორიც არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ.

პრობლემებზე მუშაობისათვის მზადება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში დროულად დაიწყო. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რაიონულ, საქალაქო და საოლქო პარტიულ კონფერენციებზე კომუნისტთა მიერ გამთქმელმა წინადადებებმა და შენიშვნებმა, აგრეთვე ყრილობისათვის მზადების პერიოდში რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ტელევიზიასა და რადიოში მიღებულმა წერილებმა შესაძლებელი გახადა განვლილ ხუთწლედში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილების გათვალისწინებით დასახულიყო ძირითადი საკითხების წრე, რომლებსაც უნდა დათმობოდა მთავარი ყურადღება სოციალურ-ეკონომიკური, სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი პროცესებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში მორიგი ამოცანების გადაწყვეტისას.

შემდეგ დელეგატთა აზრებისა და სურვილების გათვალისწინებით განისაზღვრა და დაკონკრეტდა ძირითადი პრობლემები, რომლებიც მოითხოვდა ფართო ყრლობა განხილვას ყრილობაზე, იმისათვის, რომ ამ პრობლემებზე ყრილობის ფარგლებში რაც შეიძლება მეტ დელეგატს გამოეთქვა თავისი აზრი მათი ცოდნის, კომპეტენციის, პრაქტიკული გამოცდილებისა და ინტერესების გათვალისწინებით, დაისახა წინადადება შექმნილიყო სპეციალური ჯგუფები ცალკეული პრობლემების განხილვისა და მათი გადაწყვეტის რეკომენდაციების შემუშავებისათვის. მათს მუშაობაში დელეგატების გარდა ყრილობის სტუმრებიც მონაწილეობდნენ.

ჯგუფების მეცადინეობას უძღვებოდნენ საქართველოს ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების პოლიტსამმართველოსა და პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელები.

* * *

წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით დელეგატთა ჯგუფმა თავის სხდომაზე განიხილა სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციის, დაგეგმვის შემდგომი გაუმჯობესების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხები. აქ გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ფ. ა. ანანიაშვილი, საქართველოს სსრ სახმომარაგების

(დასასრული მე-2 გვ.)

ორგანიზაციულ-პარტიული, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, იდეოლოგიური მუშაობის, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე რეკომენდაციათა შესამუშავებლად საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე შეიქმნა დელეგატთა 15 საპრობლემო სამუშაო ჯგუფი.

**მუშაობის ასეთმა ფორმამ შესაძლებელი გახადა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული კოლექტიური აზრი ყრილობის დელეგატებისა, რომლებიც რესპუბლიკის ყველა კომუნისტს წარმოადგენდნენ

დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპების სულისკვეთებით

(დასასრული)

თავმჯდომარე ა. ი. ბუაძე, ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ე. ცნობილაძე, ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების დირექტორი მ. ფ. ხალვაში, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ოპერატორი ა. ლ. ბურჯანაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ა. ლ. გუნია, თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ გენერალური დირექტორი ვ. მ. ნადარაშვილი, ჟურნალ „ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი ი. ვ. კრავცოვი, საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანი ლ. ი. ხაბურზანია, საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი კ. ტ. სალია, ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ი. კუტალია, ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. მ. წულუკიძე, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი რ. ვ. ბასარია, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე თ. ი. პაიჭაძე, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს კანტორის მმართველი ვ. ა. პატეიშვილი, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ა. მეგრელიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე გ. ნ. შანიძე, ხობის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ლ. ბუკია, თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი ლ. კ. გვაჯია.

* * *

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ახალი ფორმების პრაქტიკაში დანერგვის მდიდარი გამოცდილება შეიძინა ჩვენმა რესპუბლიკამ მეათე ხუთწლედის მანძილზე. ამ გამოცდილების შემოქმედებითი განვითარება რესპუბლიკის ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის, სამეურნეო ორგანოს მთავარი ამოცანა უნდა გახდეს. მათი მუშაობა უნდა დაეუქვემდებაროთ სამეურნეო საქმიანობის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას. ეს აზრი წოდილ ზოლად გასდევდა ეფექტიანობისა და ხარისხის სამუშაო ჯგუფის სხდომას, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ ხეტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის მინისტრი თ. ი. უჩანეიშვილი, სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს სამმართველოს უფროსი ნ. ა. გიორგობიანი, პარტიის თბილისის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. რ. კუხალაშვილი, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვ. ი. ციხაია, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ზ. შ. მესხიშვილი, ავჭალის მინის ქარხნის გამმართველი გ. ე. ალექსანდროვი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ს. ზადიკაშვილი, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორი ზ. დ. ჩოგავა.

* * *

დელეგატთა სამუშაო ჯგუფმა, რომელმაც განიხილა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მეცნიერების განვითარების პრობლემები, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას რეკომენდაცია მისცა კიდევ უფრო მეტად დაუქვემდებარონ რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრას, სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის ინტენსიური განვითარების გზაზე გადაყვანის დაჩქარებას, მეცნიერული პოტენციალი, მეცნიერთა და სპეციალისტთა მეცადინეობა მოახმარონ უმთავრესად გადამწყვეტ უბნებს. სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ე. ა. სეხნიაშვილი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ი. ციხაია, საქართველოს კომპარტიის ბაღდათის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ნ. ნადარაია, თეძოს მრეწველობის სწარმოო გაერთიანება „საქთეზმრეწვის“ უფროსი ო. გ. აბესაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნ. ვ. დუმბაშიძე, ზუგდიდის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯ. ი. გუგუნია, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ი. ჭალაგანიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ა. ოდიშვილი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. ი. ანდრიბანავა, „საქსახსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე დ. ე. სარიშვილი, რესპუბლიკური აგროსამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების თავმჯდომარე დ. დ. მაღალაშვილი, საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი მ. ბ. ღვინჯილია, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი რ. ჰ. კონცელიძე, ქარელის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ქ. ვ. სამნიაშვილი, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ვ. ი. მეტრეველი, ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ა. დუკმასოვი, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ი. აბრამშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ა. წითელი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ა. ქოჩოიანი.

მათ ილაპარაკეს მთავარზე: როგორ მოაწყონ მუშაობა ყველა რგოლში, როგორ გაზარდონ თავიანთი წვლილი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, რომელსაც პარტია შეემუშავებს, როგორ გახადონ შრომითი კოლექტივების მუშაობა უფრო ეფექტიანი და ხარისხიანი.

* * *

კომუნისტური პარტია დღენიადაგ ზრუნავს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, რომლის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია ფართო ასორტიმენტის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებაში თავიანთი როლი განსაზღვრეს ყრილობის დელეგატებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ სახალხო მოხმარების საქონლის სამუშაო ჯგუფის სხდომაში. სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე შ. ზ. ბერიანიძე, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ჩოგოშვილი, საქართველოს სსრ ვაჭრობის მრეწველობის მინისტრი ბ. ი. ზახარეული, ბაღდათის რაიონის სოფელ ლეხურმის ბოლოტენადენის ფაბრიკის ოსტატი ნ. ნ. ბეგიაშვილი, ბაკურიანის ტურბაზის ადმინისტრატორი ნ. ნ. ბეგიაშვილი, ბორჯომ

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. გ. დ. მგელაძის სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი)

ამხანაგებო! აბაშის რაიონის მშრომელებმა დამავალეს მათი სახელით მივესალმო დღევანდელ ყრილობას, რესპუბლიკის ამ უმაღლესი პარტიული საკრებულოს ყოველ დელეგატს, მოგილოცოთ დანიშნული ხუთწლედის დიადი წარმატებანი და გისურვოთ ახალი გამარჯვებანი მიმდინარე ყრილობის სამომავლო განაზრახთა განხორციელების საქმეში.

აბაშელი კომუნისტები საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას შეხვდნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეული დიდი წარმატებებით, სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული საკავშირო გარდამავალი წითელი დროშებით, ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლის დაუცხრომელი ენერგიით, მომავლის რწმენით.

აბაშელი გლეხკაცის კალენდარზე უკვე დიდი ხანია დადგა მეთორმეტე ხუთწლედი.

უკვე შვიდი წელია, რაც რაიონის პარტიული ორგანიზაციის მეცადინეობა უპირველეს ყოვლისა ხმარდება სოფლის მეურნეობის პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური გზების ძიებას. რაიონული მასშტაბით აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფა, მორალური და მატერიალური სტიმულირების ეფექტიანი შეხამების ფორმების ძიება, ტექნიკის კონცენტრაცია, საზოგადოებრივი მეურნეობის ფართო კოოპერირება პირად საკარმიდამო მეურნეობებთან — აი ის ოთხი ძირითადი პრობლემა, რომლებიც აპრობაციას გადის აბაშის რაიონში.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციას გაუკვალავ გზებსა და ბილიკებზე მოუხდა სიარული, მაგრამ იგი როდი დამფრთხალა და დაშინებულა მწვავე კონფლიქტებისა და რთული პრობლემების აღძვრის ჟამს. ყველა ჩვენს ძიებას უშუალო კავშირი აქვს დროის მოთხოვნებთან.

ჩვენი ექსპერიმენტი სავსებით რეალური, პროგრესული და ცხოველუნარიანი გამოდგა, შვიდწლიანმა ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ დაადასტურა აბაშელი კომუნისტების არჩეული გზის სისწორე. ყოველი სიახლე დასაწყისშივე აშკარა ან ფარული წინააღმდეგობას აწყდება, რაც ხშირად გულწრფელ, პატიოსან პაექრობასთან ერთად ინსინუაციასაც წარმოშობს. და ამ მხრივ არც ახალი „აბაშური ექსპერიმენტი“ გადარჩენილა ძაგებას. ბევრს არ უნდოდა ეღიარებინა, რომ აუნაზღაურებელი შრომა ვერც ცალკე კაცს და ვერც სახელმწიფოს ბეღელს ვერ აუვსებს. მაგრამ დღეს თვით ცხოვრებამ წაუხდინა სხვადასხვა ჯურის ოპონენტებს პოლემიკის ხალისი.

ჩვენი ექსპერიმენტი წარმატებით გრძელდება, უფრო იხვეწება და უფრო ფართო მასშტაბური ფორმებს იღებს.

როგორც მოხსენებაში აღინიშნა, მალე რესპუბლიკის ყველა რაიონში დაინერგება აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის აბაშური მოდელი. ამასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დგება ახალ-ახალი რთული და მრავალასპექტიანი საკითხი. ამიტომ გადაუდებელი ხდება რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების სტრუქტურის რადიკალური რეორგანიზაცია.

თუ გონების თვალს გადავავლებთ არცთუ ისე შორეულ წარსულს, გაგვახსენდება მაშინდელი ერთ-ერთი ქალაქის შუაგული, სადაც თვალს არ ახარებდა არც ერთი რიგიანი ნაგებობა. მიღრეცილ-მოღრეცილ შენობებში შეხიზნულიყვნენ რაიონის წარმოება-დაწესებულებანი და ორგანიზაციები. გამვლელს ან სტუმარს გული არ მოუწევდა აბაშაში, რადგან იცოდა, რომ აქ არც საზოგადოებრივი კვების ობიექტში შეესვლებოდა, არც ღამის გასათევი ადგილი ეგულებოდა. იყო უწყლობა, იყო სიბნელე. რესპუბლიკაში გამშვენიერდა აბაშა. ახლა ყველაზე გამოუსწორებელ ნიჰილისტსაც აღარ შეუძლია გულგრილად გაიაროს დღევანდელი აბაშის მაგისტრალურ ქუჩაზე. უკანასკნელ წლებში ახალმოსახლეობა იზრდება 250 ოჯახმა. ყოველი მეოთხე აბაშელი ან ახალ სახლს იშენებს ან ძველის რეკონსტრუქციას ახდენს. მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა ბევრი გაქცეული, კერაგაცივებული და საძირკველმოშლილი აბაშელი.

ჩვენ უდიდეს სიხარულსა და სიამაყეს ვგრძნობთ, რომ აბაშელმა მშრომელმა კაცმა საყოველთაო აღიარება, პატივისცემა და დაფასება მოიხვეჭა, რომ მისი შრომა და ცხოვრება სამშობლოს ქვეყნისა და ხალხის სამსახურის საუკეთესო მაგალითად იქცა.

ამოცანები, რომლებიც ამჟამად რაიონში გვაქვს გადასაწყვეტი, ერთი შეხედვით, მარილაც რომანტიკულ ოცნებას ჰგავს, მაგრამ ცხოვრება სწორედ მაშინ არის საინტერესო და შინაარსიანი, როდესაც ადამიანი რთული ამოცანების გადაწყვეტის რომანტიკით ცხოვრობს ამ ქვეყანაზე. აბაშელმა კომუნისტებმა XXXIII პარტიულ კონფერენციაზე დაისახეს საპატიო ამოცანა — მეთერთმეტე ხუთწლედში სიმინდის მოსავლიანობა 70 ცენტნერამდე გაზარდონ, სოიისა — 20-25 ცენტნერამდე. სრულიად რეალურად გვესახება თითოეულ საფურაჟე ძროხაზე 3000-3500 კილოგრამი რძის მიღება, ხორცის წარმოების 2,5-ჯერ გაზრდა, რძისა — 3-ჯერ.

აბაშის რაიონის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და მორალური პრობლემების გადაწყვეტაში ყურადღების არ გვაკლებდნენ და დახმარებას გვიწევდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა, შესაბამისი სამინისტროები და უწყებები. უსაზღვრო მადლობას ვუძღვნით მათ ჩვენი რაიონის მშრომელთა სახელით. (ტაში).

ამხ. ბ. ი. შინჯიაშვილის სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი)

ამხანაგებო! მეათე ხუთწლედის შედეგებმა, სახალხო მეურნეობის განვითარების არნახულმა ტემპმა, ხალხის კეთილდღეობის თანამიმდევრულმა ზრდამ, თითოეული მშრომელის შეგნებისა და რწმენის განმტკიცებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სწორია პარტიის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც შემუშავებულია სკკპ XXV ყრილობაზე და რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის XXV ყრილობაზე.

განვლილი ხუთწლედი გურჯაანის რაიონის პარტიული ორგანიზაციისათვისაც გადაიქცა სახელოვანი შრომითი გამარჯვებების, სოციალური მოღწევების მატიანედ. მართლაც, განვლილი ხუთწლედის მუშაობის შედეგები შთამბეჭდავია. ერთიორად გაიზარდა წარმოების მოცულობა მეურნეობის ძირითად დარგებში, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა რენტაბელობა. აი რამდენიმე ციფრი, რომლებიც თვალნათლივ მოწმობს რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს. შარშან მეურნეობებში შრომის ნაყოფიერება 1976 წელთან შედარებით გაიზარდა 72 პროცენტით. სამეალო წლიური შემოსავალი — რვიდან თხუთმეტ მილიონ მანეთამდე, ერთი კაცდღის ანაზღაურება — 4,5-დან 12 მანეთამდე. ეკონომიკის წინსვლამ ყველა პირობა შექმნა მევენახეთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ამჟამად გურჯაანელებს აქვთ 12 მილიონი მანეთი საერთო თანხის ტელევიზორები, 35 მილიონი მანეთის ავტომანქანები, 350 მილიონი მანეთის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალმა რენტაბელობამ, და, ბუნებრივია, დიდმა შემოსავალმა საშუალება მოგვცა გადაგვეჭრა ზოგიერთი სოციალური პრობლემა. მაგალითად, რვა სასოფლო საბავშვო ბაღში და სკოლების გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში შემოვიღეთ უფასო კვება. ძირითადად რაიონის შემოსავლის ხარჯზე შექმნილია მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმისათვის, რომ რაიონის ყველა სკოლა უკვე მიმდინარე სასწავლო წელს ერთცვლიან მუშაობაზე გადასულიყო. საზოგადოებრივი და დამხმარე მეურნეობის შეთანხმებულმა განვითარებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რაიონში დადებითს დემოგრაფიულ ცვლილებებს: შეწყდა მიგრაცია, აღორძინდა ოდესღაც მიტოვებული მთის სოფლები: მაგრამ ამასთან ერთად, მევენახეობის მკვეთრმა ინტენსიფიკაციამ, საზოგადოებრივი მეურნეობის ღრმა სპეციალიზაციამ, „საქნავთობის“ ტრესტი, რომლის მუშაობის მაჩვენებლები ყველაზე დაბალი იყო ქვეყანაში. მრავალგზის დაისვა საკითხი საქართველოში ნავთობისა და გაზის მოპოვების მთელი სამუშაოების შეწყვეტის შესახებ.

ასეთ ურთულეს პირობებში, ეშმარიტად შორსმჭვრეტელი პარტიული მიდგომის შედეგად, რომელიც გამოიჩინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობამ დიდი მხარდაჭერა პოვა. საკითხი დაისვა არა სამუშაოთა შეწყვეტის, არამედ, პირიქით, მათი განვითარების შესახებ!

ჩვენ კარგად გვესმის, რომ რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარება, რომლის ნაწილია ნავთობის მრეწველობა, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საწარმოო ძალებისა და მათი განლაგების ზრდის ტემპს, მსჯელობა და ეკონომიკურ მაჩვენებლებს, შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესების საჭირო წინამძღვრებს ქმნის.

ამ ამოცანათა საფუძველზე გაერთიანების კოლექტივი განსაზღვრავს ახალ ხუთწლედში ნავთობის მრეწველობის განვითარების პერსპექტივებს.

გაგრძელდება პერსპექტიული ფართობების ინტენსიური ძიება რესპუბლიკის აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ნავთობის ახალ საბადოთა აღმოჩენასთან ერთად ნავარაუდევია გაზის საბადოთა აღმოჩენა უწინარეს ყოვლისა რესპუბლიკის აღმოსავლეთში.

მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე გათვალისწინებულია ნავთობის მოპოვების მოცულობა მეათე ხუთწლედთან შედარებით 1,5-ჯერ გადიდდეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტეს საკითხი, რომ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მთელი პროდუქცია მოხმარდეს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

ასეთ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვქონდეს საკმაო საკუთარი ნავთობის რესურსები მათი მიწოდებისა და ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში გადამუშავებისათვის, რომლის სიმძლავრე ამჟამად დატვირთულია ქართული ნავთობის 65 პროცენტით. ამიტომ საქმე ეხება იმას, რომ დეფიციტი შეივსოს ქართული ნავთობით და არა რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოტანილი ნავთობით.

ამრიგად, საქართველოს ნავთობის მრეწველობის მუშაკთა წინაშე დგას რთული და პასუხსაგები ამოცანა — ნავთობის მოპოვება გაზარდონ 1,5 მილიონი ტონით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამდენი ნავთობი რესპუბლიკაში მოპოვებულია „საქნავთობის“ არსებობის 45 წლის მანძილზე მეათე ხუთწლედის დაწყებამდე.

სათბობზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების ზრდა სახავს ნავთობის მეურნეობის შემდგომი ინტენსიური განვითარების აუცილებლობას, რაც შესაძლებელია მხოლოდ ახალ რაიონებში, რესპუბლიკის სხვა სადაზვერვო ფართობებზე გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების გაძლიერების საფუძველზე.

კვლავ მეტად მწვავედ დგას გაერთიანების საწარმოო ბაზების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის საკითხი, რომელთა მშენებლობას ახორციელებს და, უნდა ითქვას, ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საიჯარე ორგანიზაციები. ამიტომ მინდა კიდევ ერთხელ დაბეჯითებით ვთხოვო ამ სამინისტროებს, უზრუნველყონ საწარმოო ბაზების მშენებლობის დაჩქარება, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია რესპუბლიკაში ნავთობისა და გაზის მოპოვების შემდგომი ზრდა.

ყველა ზემოთ აღნიშნული პრობლემის შესახებ სჯა-ბაასი გიმართავთ ჩვენი ყრილობის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, რამაც საშუალება მოგვცა უფრო ღრმად და კონკრეტულად, საქმიანად განგვეხილა არსებული მდგომარეობის ყველა ასპექტი, განგვესაზღვრა ცალკეული დარგების შემდგომი განვითარების გზები და ამოცანები.

ეს, ამხანაგებო, დემოკრატიული ცენტრალიზმის კიდევ ერთი გამოვლენაა, რომელიც სულ უფრო სასიკეთო გავლენას ახდენს ჩვენი პარტიის პრაქტიკულ საქმიანობაზე, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ყრილობის დელეგატთა გამოსვლებში სერიოზული ყურადღება დაეთმო ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის ენერგიის ახალი წყაროების ათვისება, ეკონომიისა და მომჭირნეობის რეჟიმი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენებაში.

ბევრი საკითხი აისახა სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებულ რეკომენდაციებში. ალბათ, მათ გაითვალისწინებენ ყრილობის დადგენილების პროექტში და შემდეგ ეს რეკომენდაციები ყველა იმათი ყოველდღიური მუშაობის პროგრამა გახდება, ვინც მოწოდებულია იმუშაოს სათბობ-ენერგეტიკულ საკითხებზე. ეჭვი არ არის, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი უბნის ყველა საკითხის განხორციელება ბევრად შეუწყობს ხელს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებას. (ტაში).

ამხ. ლ. ო. ჯავახიშვილის სიტყვა

(სილნაღის რაიონის სოფელ ტიგაანის კოლმეურნეობის მევენახე)

ამხანაგებო! ქიზიყელ მხვნელ-მთესველთა, მეცხოველეთა და მევენახეთა სახელით რესპუბლიკის ყველა კომუნისტს ვულოცავ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გახსნას. მსურს საბჭოთა საქართველოს მშრომელებს ვუსურვო ახალი წარმატებები მეთერთმეტე ხუთწლედში.

განვლილი ხუთწლედი ქართველი ხალხის, საქართველოს კომპარტიის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. ჯერ კიდევ მეცხრე ხუთწლედის დამდეგს მიღებულ იქნა რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანესი დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, რომლითაც ახალი ეტაპი დაიწყო მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

ახლა, ამ მაღალ ტრიბუნაზე მდგომი ახალგაზრდა კომუნისტი განვიცდი სიამაყის გრძნობას: რა სიღრმე და პარტიული სიბრძნეა ჩაქსოვილი ამ დოკუმენტში, რა სწორი აღმოჩნდა ის გზა, რომლითაც მივდიოდით და ახლაც მივდივართ!

ჩვენი ხალხის გმირული შემართების დამადასტურებელია საქართველოს სს რესპუბლიკისათვის გადაცემული სრულიად საკავშირო გარდამავალი წითელი დროშები. და ჩვენ, სოფლის მშრომელები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში მოვიპოვოთ ახალი საპატიო ჯილდოები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანეს სიღნაღელმა მხვნელ-მთესველებმა, მევენახეებმა, მეცხოველეებმა, რომლებმაც განვლილ ხუთწლედში სამშობლოს მისცეს 70 ათასი ტონა მარცვლეული, 200 ათასი ტონა ყურძენი, 18 ათასი ტონა ხორცი, 39 ათასი ტონა რძე. ჩვენმა მევენახეებმა კი გაიმარჯვეს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენთვის გადმოცემული გარდამავალი წითელი დროშა სასოგბით ინახება რაიონში.

საყოველთაო-სახალხო შრომაში ღირსეული წვლილი შეიტანეს სოფელ ტიბაანის კოლმეურნეებმა, რომლებსაც სათავეში უდგანან სოციალისტური შრომის გმირი, ახალგაზრდობის უნარიანი დამრიგებელი ვლადიმერ ხუციურაშვილი, სახელოვანი ქართველი მექანიზატორი, საქართველოში პირველი ტრაქტორისტი ქალი ელენე ნატროშვილი და ბევრი სხვა, რომელთა რევოლუციურ, სახმოლო და შრომითს ტრადიციებზე იზრდება ახალგაზრდობა. იგი მზად არის თავის თავზე აიღოს იმ პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც მეთერთმეტე ხუთწლედშია დასახული ჩვენ წინაშე.

მე, ისევე როგორც ჩემს თანატოლებს, მიყვარს შრომა, მიწა. ეს მასწავლეს პაპაჩემმა — ყოფილმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ბებიამ და დედამ — ვენახის მოვლის ოსტატებმა, მამამ — მოწინავე კოლმეურნე-მექანიზატორმა.

ბევრჯერ მოიცნებია გმირობაზე და მოფიქრია: გვიან ხომ არ დავიბადე გმირული საქმეებისათვის? არა, გვიან არ არის. შრომა დამკვრელური, ყოველდღიური, სამშობლოს აყვავებისათვის — აი სწორედ ეს არის გმირობა, ეს არის ჩვენი დღეების ჰეროიკა. ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში უმთავრესია გკონდეს ნათელი მიზანი, მტკიცედ მიდიოდე მისკენ, მაქსიმალურად გამოადგე შენს ხალხს.

1977 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ ვენახში სამუშაოდ მოვედი. ვაზს, ყველმა იცით, დიდი მზრუნველობა და ყურადღება სჭირდება. ვინ დათვლის უძილო ღამის შემდეგ რამდენჯერ შეეხვედრივარ მზის ამოსვლას ალაზნის ველზე! დღეგნადაგ მაოცებს ვაზი. მიწის ბარაქა, მზის ენერგია და ადამიანის შრომა ჩვენ თვალწინ ქმნიან საოცრებას — ქარვისფერ ყურძნის მტევანს. და შემოდგომით, როვესის ცხარე დღეებში, უკვე მერამდენედ ვრწმუნდები: ვაზი ისმაგად ანაზღაურებს დახარჯულ შრომას.

ათი წლის წინათ რაიონის ათ ბრიგადაში გაერთიანებული იყო 1000-მდე ახალგაზრდა, დღეს კი 21 კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადაში 2.200-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი მუშაობს. პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგად მევენახეობა სწრაფად ვითარდება. ჩვენს თაობას წილად ხვდა დაძლიოს მაღალი მიჯნა — მოიყვანოს მილიონი ტონა ყურძენი. და ამ მიზნის მიღწევაში ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენზე, ახალგაზრდა მევენახეებზე.

1978 წლიდან დღემდე გაპირობებულ ნაკვეთზე მოვარიფეს 171 ტონა ყურძენი, გეგმით გათვალისწინებული 61 ტონის ნაცვლად და ხუთწლედი სამ წელიწადში შევასრულე. მაგრამ მიღწეულს არ დავჯერდები. ოცი წლისა ვარ, ამდენივე დრო გვაშორებს ოცდამეერთე საუკუნეს. გადავწყვეტე მომავალ ათწლეულში შევასრულო ოცი წლის პროგრამა!

ამხანაგებო! ახლახან ტიბაანში კომკავშირელ გოგონებს გადაეცათ მთლიანად მექანიზებული სარძევე კომპლექსი. იქ სამუშაოდ სიამოვნებით მიდიან: შრომის კარგი პირობები სულ უფრო მეტად იზიდავს ახალგაზრდობას მეცხოველეობაში.

ჩვენს რესპუბლიკაში აღებული მეცხოველეობის განვითარების კურსი მოითხოვს საკვები ბაზის განმტკიცებას, მაგრამ ჩვენს რაიონში დარღვეულია თესლბრუნვა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვერ შეძლო დაენერგა თესლბრუნვის ერთიანი მყარი სისტემა.

ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა წმორის მეცხოველეობის კომპლექსში. საქართველოს სსრ მინისტროსა საპჭოს დადგენილებით დარგში მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა დაევალა „მთავრსაქმწყალმშენს“, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, მაგრამ 13-დან 4 მუხლი დღემდე შეუსრულებელია. სად გაგონილა, რომ მთავრობის დადგენილება არ სრულდებოდეს? მაგალითად, ჩვენთან, ბრიგადაში, თუ ადამიანი პირობას არ შეასრულებს, ამის მერე მას აღარავინ ენდობა. ხოლო მთავრობის დადგენილება უკვე დიდი ხანია თითოეულისათვის კანონი უნდა იყოს.

სიტყვის გატეხვისა არ რცხვენია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსაც, რომელმაც სამი ხუთწლედის განმავლობაშიც კი ვერ დაამთავრა ბაგირგზის მშენებლობა.

სხვათა შორის, როცა ჩემი გამოსვლა პაპაჩემმა, ცნობილ მევენახეს, კოლმეურნეობის დამაარსებელს წავუკითხე, მან ღიმილით მითხრა: „შენს თავზე ბევრს ხომ არ იღებ, სამინისტროებს რომ აკრიტიკებო, უკეთესია შენს ვენახს, სახლს მიხედო და აკვანი მოამზადო, თორემ ხომ იცი ქიზიყელი ბიჭები შენზე იტყვიან, „ავი გოგოაო“ და შინ არავინ შეგიშვებს“.

მაგრამ მე მაინც ჩემსას არ ვიშლი, რადგან ვიცი: კრიტიკა წამალია, რომელიც ყველა სენს კურნავს. მთავარია ცხოვრებასა და სიმართლეს პირდაპირ შეხედო და საქმის წარმატება უზრუნველყოფილია.

საბჭოთა ადამიანი, მით უმეტეს კომუნისტი, მიღწეულს არასოდეს არ სჯერდება. იგი მუდამ ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, ის კი დღევანდელზე უკეთესი იქნება. ამის საწინდარია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ლენინური პარტიის საქმიანობა. (ტაში).

ამხ. რ. ნ. თევზაძის სიტყვა

(საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი)

ამხანაგებო! მეათე ხუთწლედი მოწმობს, რომ რესპუბლიკის ნავთობის დარგის ეკონომიკური განვითარების მიმართულება და ხასიათი მთლიანად შეესაბამებოდა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის პრინციპულ მითითებებსა და გადაწყვეტილებებს.

საწარმოო გაერთიანება „საქნავთობმა“ ვადამდე, ჯერ კიდევ 1980 წლის 20 მარტს შეასრულა სამრეწველო წარმოების მოცულობის დავალებანი. ნავთობის მოპოვების მოცულობა ხუთწლედის დამლევისთვის 1975 წელთან შედარებით 12-ჯერ და მეტად გაიზარდა და ახლა მისი მხოლოდ ერთი პროცენტი მთელი 1973 წლის წლიურ მოპოვებას აღემატება. გასულ ხუთწლედში პირველად საქართველოში დაიწყო თანამდევი ნავთობის გაზის უტილიზაცია. მისი მოპოვების დავალება შესრულებულია ერთიორად და მეტად.

სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებამ, შრომითი მეტოქეობის სულისკვეთებამ, რომლებმაც მოიცვა პრაქტიკულად გაერთიანების საწარმოო კოლექტივები, საშუალება მისცა საქართველოს მენავთობეებს მეათე ხუთწლედში 15 კვარტალის მანძილზე ზედიზედ მოეპოვებინათ სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად საწარმოო გაერთიანება „საქნავთობმა“ იკისრა ვალდებულება 26 ყრილობისწინა კვირის მანძილზე გეგმის გადამტებით ამოეღო რამდენიმე ათასი ტონა ნავთობი. ეს ვალდებულება არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც არის შესრულებული. ამ წარმატებას ჩვენი რესპუბლიკის მენავთობეები საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას უძღვნიან.

1975 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაერთიანებაში 5,3-ჯერ გაიზარდა. პრაქტიკულად პროდუქციის მთელი მატება ხუთწლეულის მანძილზე მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ბაზი.

გასული ხუთწლეულის მანძილზე მიღებულია 15 მილიონი მანეთის ზეგეგმითი მოგება.

მეათე ხუთწლედი ქართველ მენავთობეთათვის იმით არის აღსანიშნავი, რომ ამ წლების მანძილზე მათ ამოიღეს ნავთობის 84 პროცენტი, რაც ნავთობის საბადოთა ექსპლოატაციის დროიდან არის ამოღებული. ხუთწლედის მანძილზე ქვეყნის სახალხო მეურნეობამ დავალების გადამეტებით მიიღო მაღალხარისხოვანი ქართული ნავთობი, თანამდევი ნავთობის გაზი, რაც სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად სამშობლოსათვის ღირსეული საჩუქარია.

უნდა აღინიშნოს, თუ რამ შეუწყო ხელი ნავთობის დარგის მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის აღმავლობას, რადგან „საქნავთობი“ იმ დიდი მიზანმიმართული მუშაობის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია, რომელსაც რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია ეწევა როგორც მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის, ისე აგრეთვე საქართველოს ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

ბევრს ახსოვს ის დრო, როდესაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ წარმოების, მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპისა და სხვა უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით საშუალო საკავშირო დონეს. ჩამორჩენილთა შორის იმ დროს იყო აგრეთვე

ამხ. ა. ნ. ლესელიძის სიტყვა

(თერჯოლის რაიონის სიქთარვის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი)

ამხანაგებო! საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ღირსეულად შეეგება თავის მორიგ XXVI ყრილობას. მან პირნათლად შესრულა პირობა ხალხის წინაშე, ისტორიის წინაშე, მოვიდა, რათა ბრძნულად, პარტიული პირდაპირობით აწონ-დაწონოს გაკეთებული და გასაკეთებელი, კოლექტიური აზრის ძალით დასახოს მომავლის გზა.

მეათე ხუთწლედის ძნელ გზებზე იმიტომაც გავიმარჯვეთ, რომ თითოეული ჩვენგანი, თითოეული პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად გრძნობდა ჩვენი რესპუბლიკისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ბრეჟნევის, ჩვენთვის მუდამ ძვირფასი და ახლობელი ადამიანის აქტიურ მხარდაჭერას და დახმარებას. იგი, როგორც მზრუნველი მამა, მუდამ ყურადღებით გვმოსავდა და გვმოსავს. ამის მაგალითად ჩვენი ოჯახიც კმარა, რომელიც მის მზრუნველობას ომის პირველი წლებიდან დღემდე გრძნობს და ხედავს. ასეთ მზრუნველობას ხედავს ყველა მშრომელი, საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაცია იმ კეთილი საქმეებით, რომლებსაც ლ. ი. ბრეჟნევი უდგას სათავეში ჩვენი რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკაში არნახული გაქანება შეიძინა სასკოლო და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობამ. ამის დასტურად მარტო ჩვენი რაიონის მაგალითიც გამოდგება, სადაც განვლილ ხუთწლედში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 11 რვაწლიანი და საშუალო სკოლა, 10 საბავშვო ბაგა-ბაღი, პიონერთა ქალაქი „საპოვნელა“ და სხვა ობიექტები, რამაც საშუალება მოგვცა მეტი ყურადღება დაგვეთმო ბავშვთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდისათვის. ამის შედეგიც არის, რომ რაიონში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მთლიანად აღმოიფხვრა დანაშაული არასრულწლოვანთა შორის.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფი განვითარების პირობებში სულ უფრო რთულდება სწავლა-აღზრდის პროცესი და ეს სირთულე თავს იჩენს არა მარტო მოსწავლის, არამედ მასწავლებლის წინაშეც. დღის წესრიგში დგას იდეურად მტკიცე, საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებული, თავიანთი საქმისადმი თავდადებული პედაგოგების მომზადება. ეს საჭირბოროტო საკითხია, მისი გადაჭრის გადადება მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა მომავალ თაობათა წინაშე.

პარტიის თერჯოლის რაიკომის ინიციატივით შეიქმნა რესპუბლიკაში პირველი სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები. ახლა ასეთი კომბინატი ორია. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა და განაზოგადა ჩვენი გამოცდილება. პირველი შედეგებიც აშკარაა: თერჯოლის პირველმა სასკოლათშორისო საწარმოო კომბინატმა ორი სასწავლო წლის განმავლობაში გამოუშვა 664 კურსდამთავრებული, რომელთაგან მიღებული სპეციალობის მიხედვით მუშაობს 272 და ამავე პროფესიით სწავლას განაგრძობს 96 ახალგაზრდა. 85 ჭაბუკი კი აქ შეძენილ ტექნიკურ ცოდნას წარმატებით იყენებს საბჭოთა არმიის რიგებში.

პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში ლაპარაკია შრომითი აღზრდის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაზე. ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებს.

თანამედროვე პირობებში დიდი როლი ენიჭება გახანგრძლივებული დღის ჯგუფების გახსნას ყველა სკოლაში. ამ საქმეში დიდი საშეფო დახმარების გაწევა შეუძლიათ სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებსა და მეურნეობებს. კარგი იქნება, თუ რესპუბლიკის მთავრობა მათ მისცემს კონკრეტულ დავალებებს ამ ჯგუფებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შესაქმნელად.

კვლავ ფერხდება სასკოლო სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული ხარისხის გაუმჯობესების საკითხის გადაწყვეტა.

ჩვენი პიონერული ქალაქი „საპოვნელა“ დიდად პოპულარულია მოსწავლეთა შორის. იქ დამსვენებელთა მსურველი უფრო მეტია, ვიდრე მას შეუძლია დაიტიოს. ამიტომ სასურველია აქ კიდევ აშენდეს სასწავლო და საძინებელი კორპუსები.

რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა სახელით ყრილობას პირობას ვაძლევ, რომ ძალღონეს არ დავიშურებთ, რათა აღვზარდოთ კომუნიზმის მშენებელთა ღირსეული თაობა. (ტაში).

ამხ. ბ. ბ. ბოლქვაძის სიტყვა

(ბორჯომის რაიონის სოფელ ციხისძირის საშუალო სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი)

ამხანაგებო! ბორჯომელ მასწავლებელთა სახელით ვულოცავ ყრილობის დელეგატებს, ბორჯომელ ტურისტებს, ბორჯომელ ბავშვებს ამ ზეიმის, ამ ბედნიერების, ამ ბრწყინვალე ამბის ჟამს. ეს ამბავი ასეთია: ბორჯომელ ბავშვებს ბაბუებისგან, ბებიებისგან, ბაბუების ბაბუებისგან, ბებიების ბებიებისგან ბევრჯერ გაგონილ ამბავს ეუბნებიან, ეს ამბავი ასეთია: ბორჯომელ ბავშვებს ბაბუებისგან, ბებიებისგან, ბაბუების ბაბუებისგან, ბებიების ბებიებისგან ბევრჯერ გა

ზნეობრივი კომპრომისი — სათავე უზნეობისა

პიესის ავტორი რ. სტურუა, — ა. ჯარსიმაშვილისა და ლ. ფოფხაძის მონაწილეობით; რეჟისორი რ. სტურუა; მხატვარი გ. მესხიშვილი; კომპოზიტორი გ. ყანჩელი; ქორეოგრაფი ი. ზარეკი.

რუსთაველის თეატრის ახალი სპექტაკლი „ვარიაციები თანამედროვე თემებზე“ მთავარი გმირი, მოხუცი რეჟისორი გიორგი ირონიული პათეტიკურობით ამბობს საკუთარი შემოქმედების გამო: „მე სამოცი წელია მხოლოდ საეტაპო სპექტაკლებსა ვდგამ“.

ამ ირონიული მოხუცისაგან განსხვავებით ჩვენი თანამედროვე რობერტ სტურუა ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში სავსებით სერიოზულად ამბობს: „ჩვენი თეატრი არ დგამს სპექტაკლს ახალი მხატვრული ამოცანების გარეშე“, რაზეც, ჩვენი მხრივ, შეგვიძლია დავძინოთ: იგი არ დგამს სპექტაკლს ახალი სოციალური, მოქალაქეობრივი, ზნეობრივი ამოცანების გარეშე!

ზედმიწევნით რთული ექსპერიმენტი წამოიწყო რ. სტურუამ: მას ხელთ არ ჰქონდა პიესა — ყოველი სპექტაკლის პირველი საყრდენი — უბრალოდ, მოკლებული იყო იმგვარ ლიტერატურულ მასალასაც კი, რომელსაც თანამედროვე თეატრალური იდეებთ მდიდარი რეჟისურა სპექტაკლად გარდაქმნის ხოლმე.

რეჟისორი და რუსთაველის თეატრის დასი ერთდროულად ქმნიდნენ პიესასაც და სპექტაკლსაც. ამ შემოქმედებითი შრომის თავისებურება ხს იყო, რომ როცა პიესა დასრულდა, სპექტაკლიც უკვე მზად იყო და პირუკუ.

რუსთაველის თეატრში შექმნილი ეს ვითარება თავისებურად არის ასახული ამ ახალ სპექტაკლში. აქაც მსახიობებთან მოდის მოხუცი რეჟისორი გიორგი, რომელიც აცხადებს, ჩვენ არა გვაქვს პიესა, გვაქვს მხოლოდ მონახაზი, და მათან ერთად იწყებს ცდებს — ერთი ეპიზოდის, რომელიც საკვანძო აღმოჩნდება, სხვადასხვანაირად გათამაშებას, ეგრეთ წოდებულ ვარიაციულ წარმოსახვებს. ამგვარად, შეიქმნა „თეატრში თეატრის“ სიტუაცია, არადამპირიული ურთიერთობანი, რაც ამოუწურავი იმპროვიზაციისა და გამოგონების შესაძლებლობას აძლევს რ. სტურუას მდიდარ ფანტაზიას (ამის მაგალითია აგრეთვე მის მიერ დადგმული თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გიორგასთვის“), აძლევს მას საშუალებას კიდევ უფრო სრულყოს თავისი რეჟისორული სტატია, რომლის დამახასიათებელი ნიშანია თეატრალურობა, ნიღაბისა და ცოცხალი სახის შენაცვლება, გროტესკულობა, ანუ შინაგანი ირონიის მეშვეობით მოვლენის არსის გაშიშვლება, პათეტიკური მომენტის აბსურდამდე მიყვანა, მრავალსახოვნება. ამგვარად, ეს ის ბუნებრივი სიტუაციაა, რომელიც უყვარს რ. სტურუას, სადაც ივი თავის თავს სრულად ამეღვნებს და რომელსაც ხშირად იგი „თავს ახვევს“ ხოლმე თვით კლასიკურ პიესას თავისი თეატრალური მოდელის სახით.

მაინც რა სახისაა ის ეპიზოდი, რომელიც სხვაგვარად ანუ ვარიაციულად უნდა გათამაშდეს?

სპექტაკლის ავტორების მიერ პიესის ერთ-ერთი გმირი — მირიანი მოქცეული, პირობითად რომ ვთქვათ „ექსპერიმენტულ სიტუაციებში“ და იმის მიხედვით, თუ როგორ მოიქცევა იგი ამ სხვადასხვა ვითარებაში, ვლინდება მოვლენის შინაარსიც და გმირის ბუნებაც. აქ არ არის ერთი მყარი, დფიქსირებული მომენტი, პირიქით იგი ცვალებადია, მეტამორფოზულია, ამდენად მრავალსახოვანი და ყოველი ეს „სახე“ საინტერესო და ორიგინალურია თეატრალურად. მირიანმა — გაზეთის რედაქტორმა — დაწერა და გაზეთის ნომერში დასაბეჭდად გამზადა კრიტიკული სტატია ვინმე გაიძვერა დავითზე, „დროის კაცზე“, რომლისთვისაც უცხოა ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი ნორმები. გარემოება დაძაბულია იმის გამო, რომ ეს დავითი მირიანის მეგობარია. დაბეჭდავს თუ არ დაბეჭდავს ამ სტატიას მირიანი — აი მთავარი ეპიზოდის ძარღვი. როგორ მოიქცევა იგი, რა გზას დაადგება, ვის და რას გაუწევს, ან ვის და რას არ გაუწევს ანგარიშს.

ამ მარტივ ეპიზოდს (სიუჟეტის, ამბის თვალსაზრისით — მარტივს) სთავაზობს მოხუცი რეჟისორი (და მასთან ერთად, ცხადია, რ. სტურუა) თავის მსახიობებს გასათამაშებლად. და ამ გათამაშების, ვარიაციული წარმოდგენის დროს ეს ეპიზოდი „ბრენაის“, გვიჩვენებს მასში ნაგულისხმევ შესაძლებლობებს, მდიდრდება ახალ-ახალი დეტალებით, ივსება განსხვავებული შინაარსით.

ყოველი ვარიაცია ემსახურება ჭეშმარიტების გამოსახვას, რეჟისორის ზნეობრივი, მოქალაქეობრივი პოზიციის გარკვევას. მოხუცი რეჟისორი გიორგი ეძებს ადამიანის ცხოვრების ჭეშმარიტ აზრს, ცდილობს გაიაზროს თავისი გმირი და მისი მისწრაფება, მისდაუნებურად, გადაიქცევა საკუთარი თავის შეცნების პროცესად, ცხოვრების მიწურულს იგი თავის თავს თითქოს ხელახლა აღმოაჩენს.

ეს ამბავი (ახლა უკვე დაყრდნობილი პიესის ტექსტს) აღბეჭდილია შინაგანი თავისუფლებით, შორს არის რაიმე ძალდატანებისაგან, უშუალოა და მოკლებულია იმ მკაცრ ლოგიკას, რომელიც ბუნებრივად შემოფარგლავს ხოლმე რ. სტურუას სპექტაკლის საზღვრებს. თავისი კლასიკური სპექტაკლებისაგან განსხვავებით „ვარიაციები თანამედროვე თემაზე“ უფრო ეტიუდურია, თითქოს დაუსრულებელიც, მაგრამ სწორედ ეს ეტიუდურობაა, დავძენდი, გულწრფელობაა ამ სპექტაკლის მომხიბვლელობა. ამ განწყობილებას ქმნის აგრეთვე გ. მესხიშვილის სცენოგრაფია და გ. ყანჩელის მუსიკა. ისინი იძლევიან ილუზიას აი, სწორედ ამ წამში შექმნილისას. ეტიუდურია მთელი სცენური გარემო, რომელიც „დალაგებას“ მოითხოვს, საგნებს თავისი ადგილი არა აქვს მიჩენილი, ფუნქციებიც კი შეუცვლიათ. მაგრამ ეს არის ნამდვილი თეატრალური სამყარო, სადაც ყოველი დეტალი, მიუხედავად მისი უცნაურობისა, ზუსტად „ზის“ და მხოლოდ ამ სპექტაკლის ვარიაციული ბუნების შესატყვისია (ესე იგი ეს საგანთა სამყაროც ვარიაციულია, სადაც ყოველი ნივთს რეკვიზიტი უფროა, ვიდრე რეალურად არსებული რამ) გ. ყანჩელის მუსიკაც ასევე უცბად დაბადებულია თითქოს. იგი ხან მოხუცი რეჟისორის მოძრაობას გამოყოფს, რითაც „მაგიურ“ მნიშვნელობას ანიჭებს მას, თითქოს ამ ეკსტმა გამოიხმოო თეატრალური იდუმალებიდან, ხან ეპიზოდების ირონიული ქვიტიქს შემცველია და ბოლო სცენაში ამაღელვებელ, პოეტურ, გაწწმენდილ ატმოსფეროს ქმნის.

თავისთავად ის ფაქტი, დაიბეჭდება თუ არა მირიანის კრიტიკული სტატია, არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობის. ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი კლიმატი დავითისმაგვარი ადამიანებისათვის ქმნის უეჭველბადო სივრცეს და აშთობს მათ. აქ მთავარია ჩვენი თანამედროვე ადამიანის სულიერი სიმტკიცის, ზნეობრივი ძალის საფუძველების მიგნება, ცხოვრებისეული კომპრომისებისა და მოქალაქეობრივი პრინციპულობის კონფლიქტი. ყოველი სახეცვლილი ეპიზოდი ამ კონფლიქტზეა აგებული და იმის მიხედვით, თუ კონფლიქტის რომელ მხარეს დადგება მირიანი, გაირკვევა მისი პიროვნული, ზნეობრივი პოზიცია. მაგრამ მირიანი არც ერთ ეპიზოდში არ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. მაშასადამე, გამოდის, რომ მას არავითარი პოზიცია არა აქვს — უფრო სწორად, კომპრომისი, მერყეობა, შიში საზოგადოებაში მოპოვებული ადგილის დაკარგვისა — აი მისი „პოზიცია“.

ვარიაციული პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ სპექტაკლს, არა მხოლოდ ერთი ეპიზოდის სხვადასხვა რაკურსით ჩვენების საშუალებას აძლევს რ. სტურუას, არამედ იგივე პრინციპი სათავეა სტილისტური მრავალფეროვნებისა.

პირველ ეპიზოდში მირიანი (მსახიობი კ. კავსაძე) რბილი, ინტელიგენტური, შინაგანი ღირსებით აღსავსეა — იგი პრინციპული — გარკვეულ დრომდე. ეს ეპიზოდი პათეტიკური ირონიით არის გათამაშებული. ამ დროს მირიანის ირგვლივ ყალბი თანაგრძნობის ატმოსფერო იქმნება, რომელიც სავსეა მახვილგონივრული, „ელეგანტური გაბითურებით“ (ამგვარ სიტუაციას ნატიფი ხელოვნებით ქმნიან მსახიობები, განსაკუთრებით ლ. ჭავჭავაძე). ასეთ ვითარებაში მირიანი — კ. კავსაძე კარგავს ორიენტაციას და მთელი მისი პრინციპული პათოსი ამ ირონიულ განწყობილებას კიდევ უფრო ამლიერებს.

მეორე ეპიზოდში მირიანი (მსახიობი ს. ლაღიძე) თითქოს ენერგიის, მიზანსწრაფულობის განსახიერებაა. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული დეკორია. ეს ეპიზოდი უფრო გამძაფრებულია და იგი ეგრეთ წოდებული „შავი იუმორის“ სტილშია წარმოდგენილი. მირიანის ოჯახში შემოცვივდებიან ნიღბოსანი ბანდიტები და ძალადობის აღმაშფოთებელ ფაქტებს სჩადიან, შემდეგ კი ყველას ხოცავენ. როგორც გამოიცვა, თუმცა ეს ეპიზოდი ახალგაზრდა რეჟისორის გოგის (მსახიობი ქ. ლოლაშვილი) მიერ დადგმული სახუმარო სცენა ყოფილა, რომელშიც — როგორც განდობილნი — მოხუცი რეჟისორის მსახიობებიც მონაწილეობდნენ. შემაძრწუნებელი სცენა, რომელიც სულის შემძვრელ ასოციაციებს იწვევს, ხუმრობით მთავრდება, რაც ასევე ამხელს რ. სტურუას მდრეკელობას თეატრალური მისტიფიკაციებისადმი.

მესამე ეპიზოდში მირიანი (მსახიობი გ. ფერაძე) გროტესკულ სამყაროშია მოქცეული. აქ სერიოზულობას წმინდა წყლის კომიზმი — საკმაოდ უტრირებული — ცვლის. მთელი ეს სცენა თითქოს „სიცილის ოთახში“ გამართული, როცა ადამიანის ყოველი მოძრაობა დეფორმირებულია, დანაწევრებულია და რიტმულად აჯიბუნებრივად აჩქარებული — აცუნდრუკებული.

არც ერთ ამ ეპიზოდს ფინალი არა აქვს — კრიტიკულ სიტუაციაში მირიანი ვერ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. რეჟისორი გიორგი და მისი მსახიობები იქ წყვეტენ ეპიზოდს, როცა იგი თითქოს უნდა დასრულდეს და გადადიან ახალ ვარიაციაზე. ამ ვარიაციებში ბევრი საგულისხმო სიმპართლეა თქმული და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების კრიტიკული სიტუაციებით გამოვლენილი. მაგრამ ამ სპექტაკლის თავისებურებას მარტო ეს არ განსაზღვრავს. უმთავრესია მეორე, უმნიშვნელოვანესი პარალელური ნაკადი — დამახასიათებელი რ. სტურუას პოლიფონური რეჟისურისათვის. აქ კრიტიკული მოტივი გადახლართულია უმთავრეს, ზამყვან ლაიტთემასთან — ეს გახლავთ „თეატრში თეატრის“ შემქმნელი რეჟისორი გიორგი, რომლის როლს შესანიშნავად თამაშობს რამაზ ჩხიკვაძე. ეს შემოქმედი კაცი თავისი არსებით განასახიერებს სიკეთისადმი, ზნეობრივი სრულყოფისადმი სწრაფვას, თვითდამკვიდრების სურვილს — ხელოვნების, სცენური შემოქმედების მეოხებით, თავდაპირველად მსახიობი გვაცდუნებს — სცენაზეა ახირებული, დამთხვეული მოხუცი, მისტიფიკატორი ცხოვრებაში, ნიღბების მოყვარული, სიმართლის, ცხოვრების აზრის ვარიაციებით ანუ თამაშით მძეებელი.

რ. ჩხიკვაძე რ. სტურუას ამ მრავალსახოვან სპექტაკლს (ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ — მრავალსახოვან თეატრს) თავის თავში აერთიანებს. ყოველი ეპიზოდი რ. ჩხიკვაძის—გიორგის სულიერი სამყაროს გამოვლინების ფორმაა — თვით იგია ირონიულიც, პაროდიულიც, „შავი იუმორისა“ და გროტესკის მოყვარულიც. ეს კაცი თვით თეატრია თავისი უცნაურობითა და მოულოდნელობით. მაგრამ თანდათანობით, შეუმჩნევლად, დიდი ოსტატობით რ. ჩხიკვაძე იხსნის თავის მაცდურ ნიღბებს (რომელსაც რიგრიგობით ხმარობდა) და თავის გმირის სულში გვახედებს, რითაც მხიარული, ირონიული განწყობილება სერიოზულ, უაღრესად დრამატიზებულ ტონებში გადაჰყავს. თურმე, გიორგი გაღიმებული ნიღბის ქვეშ მალავდა მთელ თავის სერიოზულობასა და გულისტკივილს. ბოლოს ვხედებით: რ. სტურუასა და რ. ჩხიკვაძეს ეს თეატრალური ვარიაციები იმისათვის დასჭირდათ, რომ უფრო ნათლად, გამოკვეთილად ეთქვათ — **ადამიანმა უნდა დაადგეს კომპრომისების გზა, თუნდაც ერთხელ, გადამწყვეტ მომენტში იყოს პრინციპული, სიმართლისათვის შეუპოვარი მებრძოლი, რაც მაღალი ზნეობის საფუძველია. ამას მოგვიწოდებს დღევანდელი საქართველოს სულისკვეთებაც და ეს ავსებს თანამედროვე მოტივებით ამ სპექტაკლს.** ამგვარ განწყობილებას აძლიერებს კიდევ ერთი მოტივი — მოტივი „დედაენისა“, რომელსაც ფორმალურად არავითარი კავშირი არა აქვს „ეპიზოდებთან“, არ არის მოქმედებაში ჩართული, მაგრამ სპექტაკლის სულის თანაზიარია, წყაროსავით მირაკრაკეს, მის ხვეულში. ეს არის პატარა გოგოსაში (მსახიობი ნ. კავსაძე) გადასული ქართული ეროვნული სისპეტაკე, რომელიც ნართაულად მიგვანიშნებს იმ მუსიკაზე, გიორგის სულში რომ ყელერს. ამის შემდეგ სავსებით ბუნებრივია ის ჰიმნური დასასრული, რომელიც ისმის როგორც განდიდება ყოველი წმინდისა და სულიერად ამაღლებულის.

ნოდარ გურაბანიძე.

სურათებზე: ზემოთ — რამაზ ჩხიკვაძე გიორგის როლში; ქვემოთ — სპექტაკლის ერთ-ერთი სცენა (მარცხნიდან) მსახიობები: რ. ჩხიკვაძე, ზ. ლეანანიძე, დ. პაპუაშვილი, გ. ჩხარტიშვილი.

მ. ნათელაშვილის ფოტო.

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

26 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი უნგრეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დელეგაცია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, უნგრეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის დ. ფეიტის მეთაურობით. საუბრისას, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ ახალგაზრდობასთან მუშაობის, კომკავშირული ორგანიზაციების პარტიული ხელმძღვანელობის აქტუალურ საკითხებს. (საკდესი).

ვიზიტად მოსკოვში

26 იანვარს მოსკოვს ჩამოვიდა მაროკოს მეფის ჰასან მეორის პირადი წარმომადგენელი მინისტრი ა. გესუსი.

ამავე დღეს მაროკოს მხარის თხოვნით ა. გესუსი მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. საუბრისას განიხილეს საბჭოთა კავშირ-მაროკოს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა, მათ შორის ვითარება ახლო აღმოსავლეთში.

ა. ა. გრომიკომ ა. გესუსის პატივსაცემად საუზმე გამართა.

(საკდესი).

საკლესიის ცნობა

საგვირთო ხომალდის შეეჯრავირება

1981 წლის 26 იანვარს მოსკოვის დროით 18 საათსა და 56 წუთზე განხორციელდა „პროგრეს-12“ ავტომატური სატვირთო-სატრანსპორტო ხომალდის შეპირაპირება „სალუტ-6 ორბიტულ სამეცნიერო სადგურთან, რომელიც სამ წელიწადზე მეტია კოსმოსში დაფრინავს.

კოსმოსური აპარატების ურთიერთძიების, დაახლოების, მიდგომისა და შეპირაპირების პროცესები სრულდებოდა ფრენის მართვის ცენტრიდან მიღებული ბრძანებით და საბორტო ავტომატიკის მეშვეობით.

დედამიწისეული საკომანდო-საზომი კომპლექსის საშუალებანი, რომლებიც მოიცავს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებულ საზომ პუნქტებსა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიაში მყოფ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითს ხომალდებს, საიმედოდ უზრუნველყოფდნენ „პროგრეს-12“ ხომალდის „სალუტ-6“ სადგურთან შეპირაპირების პროცესის კონტროლს.

„პროგრეს-12“ ხომალდი სადგურს შეუპირაპირდა საავგენტოტ ნაკვეთურის მხრიდან. ორბიტაზე მიტანილია ძრავის გაერთიანებული დანადგარის სათბობი. და სხვა სახარჯო მასალები, რომლებიც საჭიროა „სალუტ-6“ სადგურის შემდგომი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „სალუტ-6“ სადგურისა და „პროგრეს-12“ სატვირთო ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სახალხო განათლების მუშაკთა დიდ ჯგუფს მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარისა“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის“ სამაგონო წოდებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ქვეყნდება გაზეთ „სახალხო განათლებაში“. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვახტანგ ავქსენტის ძე კვარაცხელია დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.



საკლესისა და ახალი ამგების საგენტოს კორესპონდენტები გვაგზავნიან

27 იანვარი

სოციალისტური პოლონეთისათვის

ვარშავა. პოლონეთის ჯარის სამოქალაქო მუშაკთა წარმომადგენლების ყრილობაზე გამოსვლისას პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა არმიის გენერალმა ვ. იარუზელსკიმ აღნიშნა, რომ პოლონეთის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამსახურის ყველა თანამშრომელი გამოვიდა ხაზუშოდ შაბათს 24 იანვარს. ამით მათ მოიხადეს თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი, გამოიჩინეს ზრუნვა ქვეყნისათვის, მისი სტაბილურობისა და თავდაცვისუნარიანობისათვის. თავიანთი შრომით მათ ხმა მისცეს ქაოსის შექმნის, დისციპლინის შესუსტების, პოლონეთის ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი გაუარესების საშიშროების წინააღმდეგ, თქვა მინისტრმა.

ყრილობის მონაწილეებმა აღნიშნეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელი როლი საზოგადოებაში. მათ ხაზი გაუსვეს, რომ კვლავაც დარჩებიან კონსტიტუციაში დამკვიდრებული სოციალისტური წყობილების პრინციპების, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის არსებული საერთაშორისო კავშირების პლატფორმაზე.

ყრილობამ მიიღო მიმართვა პოლონეთის ყველა მშრომელისადმი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: ჩვენ მოვუწოდებთ ქვეყნის მშრომელებს აქტიურად ჩაებან სოციალისტური განვითარების პროცესში, იბრძოლონ ვითარების სტაბილიზაციისათვის, გამოიჩინონ პოლიტიკური კეთილგონიერება და პასუხისმგებლობა ხალხის ბედისა და უშიშროებისათვის.

ქვეყანას, ხაზს უსვამენ ყრილობის მონაწილენი, სჭირდება სიმშვიდე, ერთიანობა და წესრიგი. ჩვენ ვილაშქრებთ დემაგოგიისა და პოლიტიკანობის წინააღმდეგ, მოვუწოდებთ რეალიზმისა და პასუხისმგებლობისათვის. ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ მშვიდობიანად ,მშვიდობიანად ვიმუშაოთ და შეძლებისდაგვარად განვამტკიცოთ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება. მომავალი ჩვენთვის — ეს არის სოციალიზმი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმატებით განვითარება.

აბსურდულ მტკიცებათა გამო

27 იანვარს იტალიის მოსკოველი ელჩი მიიწვიეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც უთხრეს, რომ საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განუცხადოს იტალიის მთავრობას შემდეგი.

საბჭოთა მხარე, მეტი რომ არა ვთქვათ, სერიოზულად არის გაოცებული იტალიის პრეზიდენტის ა. პერტინის ზოგიერთი საჯარო გამონათქვამის გამო. სამეგ ეზება, კერძოდ, მის ამასწინანდელ ინტერვიუს საფრანგეთის ტელევიზიისადმი, რომლის დროს იგი ცდილობდა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ეგრეთ წოდებული „წითელი ბრიგადების“ იტალიელ ტეროროისტთა მართვის ცენტრი საბჭოთა კავშირში იყოს. ასეთი მტკიცება იმდენად აშკარად აბსურდულია, რომ ყურადღების ღირსიც კი არ იქნებოდა, ესოდენ მაღალ ოფიციალურ დონეზე რომ არ გამოეცხადებინათ. იტალიის ხელმძღვანელობამ არ შეიძლება არ იცოდეს რა პრინციპულ პოზიციას ადგას საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ყოველთვის გმობდა და გმობს ტეროროზმს.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ყოველგვარი მონაჩმახი, რომელიც ჩრდილს აყენებს ამ პოზიციას, შეურაცხმყოფელია საბჭოთა კავშირისათვის და აშკარად ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირ-იტალიის მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე დამყარდა. (საკდესი).

დამატებითი ცნობა

საგანგებო სასამართლოს განაჩენი

პეკინი, აქ გამოაცხადეს საგანგებო სასამართლოს განაჩენი ძიან ცინისა და ლინ ბიაოს ეგრეთწოდებულ „კონტრრევოლუციური დაჯგუფების“ საქმის გამო. როგორც უკვე ცნობილია, მაო ძედუნის ქვრივს ძიან ცინსა და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოფილ წევრს ჯან ჩუნციაოს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა განაჩენის შესრულების ორი წლით გადადებით. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს ვან ხუნვენს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოფილ წევრს იაო ვენიუანს — 20 წლის პატიმრობა.

დანარჩენ განსასჯელებს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოფილ წევრებს — მაო ძედუნის პირად მდივანს ჩენ ბოდას, ჩინეთის არმიის გენერალური შტაბის ყოფილ უფროსს ხუან იუშენს, თვალსაჩინო სამხედრო ხელმძღვანელებს ლი ძოპენს, ციუ ხუენძოს, უ ფასიანს, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილ პოლიტკომისარს ძიან ტენძიაოს მიესაჯათ სხვადასხვა ვადის პატიმრობა — 16-დან 18 წლამდე.

პრესა ადასტურებს

გაჩნდა ახალი ღერძი

დელი, შეერთებული შტატებისა და ჩინეთის „პარალელური ინტერესების“ შედეგად სამხრეთ-დასავლეთ აზიაში გაჩნდა ახალი ღერძი — ვაშინგტონ-პეკინ-ისლამაბადი, წერს ინდოეთის მთავრობის წრეებთან დაახლოებული გაზეთი „ნეშნლ ჰერალდი“. ამერიკა-ჩინეთის გარიგების უშუალო გამოვლინება გახდა ავღანეთის საწინააღმდეგო შეიარაღებული ინტერვენციის გაფართოება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს პაკისტანი. მისი ტერიტორია გამოიყენება ძირითად პლაცდარმად ამერიკელი, ჩინელი და პაკისტანელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ავღანელ დაქირავებულთა მომზადებისათვის.

შეერთებული შტატები და ჩინეთი იყენებენ აგრეთვე ისლამაბადს ირანოეთზე ზეგავლენის მოსახდენად, ხაზს უსვამს „ნეშნლ ჰერალდი“. ამასთან ვაშინგტონისა და პეკინის სტატეგია ორ მიზანს ისახავს. ჯერ ერთი, ისინი ცდილობენ დაამინონ ინდოეთი, ხელი აიღებინონ მას მიუმხრობლობის პოლიტიკაზე, მეორეც, უარი ათქმევინონ ინდოეთს საბჭოთა კავშირთან მეგობრობაზე და ინდოეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებაზე.

ა. ჯალიაშვილი



75 წლისა გარდაიცვალა ქართული კინემატოგრაფიის ცნობილი მუშაკი, რეჟისორი და მსახიობი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ჯალიაშვილი.

ალექსანდრე ჯალიაშვილი 50 წელზე მეტ ხანს ემსახურებოდა ქართულ კინემატოგრაფიას. მისი შემოქმედებითი გზა 1925 წელს დაიწყო კინოსტუდიის ფირის დამუშავების საამქროში, სადაც მუშაობდა გამომმეკლავნებელად. მან გაიარა შემოქმედებითი მუშაკისათვის საპატიო და ღირსეული გზა — იყო ასისტენტად ცნობილ რეჟისორებთან: მ. ჭიაურელთან, მ. კალატოზიშვილთან, ლ. ესაკიასთან. როგორც კინომსახიობმა, არაერთი დასახსომებელი მხატვრული სახე შექმნა. პირველ ქართულ მხატვრულ ხმოვან ფილმში „ჰოლტზე“ მან შეასრულა ალაგაზრდა ტრაქტორისტის მთავარი როლი, „ჯიმ შვანთეში“ — ბრიგადირის მთავარი როლი, „საბაში“ — საბას როლი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ა. ჯალიაშვილის მიერ შექმნილი ქართველი რევოლუციონერის მიტოს სახე მ. ჭიაურელის ცნობილ ფილმში „უკანასკნელი მასკარადი“.

სამსახიობო მუშაობასთან ერთად ა. ჯალიაშვილი 1937 წლიდან ეწეოდა სარეჟისორო მოღვაწეობასაც. მან შექმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტური სურათი და ქართულ ენაზე გაახმოვანა ასობით ფილმი. სამამულო ომის წლებში ა. ჯალიაშვილმა, როგორც რეჟისორმა, შექმნა ანტიფაშისტური კინონოველა „სადარაჯოზე“, რომელმაც დიდი წარმატებით მოიარა საბჭოთა კავშირის ეკრანები.

კეთილსახელიერებამ, საქმისადმი ერთგულებამ, ნიჭმა და დაუშრეტელმა ენერგიამ სახელი და პატივისცემა მოუხვეჭა მას კოლექტივში. ბოლო პერიოდში, როგორც მსახიობი, ის მიწვეული იყო თვალსაჩინო როლების შემსრულებლად რამდენიმე ფილმში და რაოდენ საწყენია, რომ მას არ დასცალდა ამ როლების ხორცშესხმა.

ქართული კინოს ღვაწლმოსილი მუშაკის, შესანიშნავი ადამიანისა და მოქალაქის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მის თანამოსაქმეთა და დამფასებელთა გულში.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობა; კინოსტუდია „ქართული ფილმი“.

ყაბალი

დარჩა 11 მატჩი

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე ფინიშის სწორზე გავიდა. სულ დარჩა 11 შეხვედრა და ამის შემდეგ უკვე საუკეთესო ექვსეულში გასული კოლექტივები ჩაებმებიან შედლებისათვის ბრძოლაში. თბილისის დინამოელენს მეორე წრის კიდევ ორ მატჩი აქვთ გასამართავი: 29 იანვარს — კაუნასში „ყალგირისთან“ და 31 იანვარს — რიგაში ვეფთან. მართალია, თბილისელებმა საუკეთესო ექვსეულში აგდილი უკვე გაინაღდეს, მაგრამ ცხადია ისიც, რომ დარჩენილ მატჩებში წარმატების შემთხვევაში ისინი ქულათა მნიშვნელოვანი მარაგით განაგრძობენ საპრიზო ადგილისათვის ბრძოლას. დღეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია (მოგება — 2 ქულა, წაგება — 1):

	მ	წ	ქ
ცსკა	20	3	43
„სპარტაკი“	15	8	38
„დინამო“ (თბ.)	15	7	37
„დინამო“ (მ.)	13	10	36
„სტროიტელი“	13	10	36
„ყალგირისი“	13	9	35
„სტატბა“	12	11	35
რტი	12	11	35
ასკ	8	15	31
„უნივერსიტეტი“	10	11	31
„კალევი“	8	13	29
ვეფი	4	17	25
„ლოკომოტივი“	2	20	24

მოკლედ

ჰადრაკი. ესპანეთის ქალაქ ლინარესში მიმდინარე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრების 8 ტურის შემდეგ 6 ქულით (1 გადადებული) ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი. მან მეშვიდე ტურში დაამარცხა კუბელი გარსია, ხოლო მეოთხე ტურის პარტია ესპანელ ბელონოსან — გადადო. მეორე ადგილზეა ჭრილტანიანენი (აშშ) — 5,5 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან რბილი (უნგრეთი) — 5 (1), სპასკი (სსრ კავშირი), კავალეკი (აშშ) — 4,5-4,5 და ლარსენი (დანია) — 4 ქულა (1), დარჩა 3 ტური.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

28 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე“, 10.35 — ჩვენს დიდ სამშობლოში, საგელეფონო დოკუმენტური ფილმები — „სარ